

ლორესი

გაზეთი გამოდის
1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

№162 (6479) 19 სექტემბერი 1991 წელი შაბათი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საკბჭოს სესია

რამდენიმე თვის რეგლამენტით, ისე იქ მომხდარი ამგვარი უპრეცედენტო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის სხდომა გამართა კვირას, 15 სექტემბერს. მას უძღვებოდა უზენაესი საბჭოს ემგდომარე აკაკი ასათიანი. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სხდომის დაწყებიდან მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ შეუდგნენ დეპუტატები დღის წესრიგის განხილვას, რომლის მთავარი საკითხი იყო თბილისში ამა წლის 2 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის შეფასება, რომელშიც მკვეთრად გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში. პირველი ორი საათი დასჭირდა კვორუმის განსაზღვრას და სესიის მუშაობის რეგლამენტის დასუსტებას. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც წინა სხდომაზე შეჩერდა საქართველოს კომპარტიისგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, უზენაესი საბჭოს 236 წევრიდან კენჭისყრაზე დარჩა მხოლოდ 176. სახელობითმა გამოძახებამ, რომელმაც საკმაოდ დრო დაიჭირა და იმის გამო მოხდა, რომ ჯერჯერობით, არ არის ელექტრონული ტექნიკა, ცხადყო, რომ რეგისტრაცია გაიარა 168 დეპუტატმა. კიდევ სამ საათს, შესვენების გათვალისწინებით დეპუტატები მშვიდვად იხილავდნენ სესიის პირდაპირი ტელეტრანსლაციის საჭიროების შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ მეტად ულტიმატური ზომით დასმულ საკითხს. ექვნი ხმის უპირატესობით უზენაესმა საბჭომ წინააღმდეგ მისცა ამას ხმა.

პირველის პრეტენზიის ნიშნად სხდომა დატოვა დეპუტატთა ჯგუფმა, რომელიც წარმოადგენს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებას. რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოწოდების მიუხედავად გაეზიარებინათ უმრავლესობის აზრი, გაემართათ დიალოგი ქვეყნის წამოჭრილ პრობლემაზე, მიეღწიათ კონსენსუსისათვის საქართველოს

ინტერესებისათვის, ამ ჯგუფის შემდეგ დარბაზი დატოვეს „დე-მოკრატიული ცენტრის“ ფრაქცია, აგრეთვე, მთელი რიგი სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და ზოგიერთმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა, — სულ 39 კაცმა.

ამასობაში, სესიამ განაგრძო მუშაობა. წინასწარ გამოცხადებულ დღის წესრიგში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის შემდეგ, დეპუტატები შეუდგნენ მასში შეტანილი საკითხების განხილვას. პირველად მიიღეს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკა უერთდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკისა და ვენის საბოლოო დოკუმენტებს, აგრეთვე, მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური შიფრის პერეს დე კუელიარისადმი და მსოფლიოს იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებმაც 70 წლის წინათ ცნეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო.

უზენაესმა საბჭომ მოახდინა ამა წლის 27 ივლისს თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია; მიღებულია დადგენილება საქართველოში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ, რომლის თანახმად ისინი გამოცხადებულია საოკუპაციო სამხედრო ძალად. განიხილეს აგრეთვე, საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ, ისინი გამოცხადებულია რესპუბლიკის საკუთრებად. მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს რესპუბლიკის წილის შესახებ.

სესიამ განიხილა ზოგიერთი საქადრო და ორგანიზაციული საკითხი.

შემდეგ მიიღეს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე. მიიღეს, აგრეთვე, კანონები სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის საპარლამენტო სისტემის შესახებ, განიხილეს სხვა საკითხები. სანამ დეპუტატები შეუდგებოდნენ დღის წესრიგის მთავარი პუნქტის განხილვას, რომელიც ეხება თბილისში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას.

ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები მაია ნათაძე, თამაზ გამყრელიძე, გაიოზ კორძაძე, აკაკი კობახიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ვახტანგ კითანაძე, მანანა გაბაშვილი და სხვები. პროკურატურის მიერ 2 სექტემბერს თბილისში მომხდარი ინციდენტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სხდომას მოახსენა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. მომხდარს, მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია მთლიანად შეტყევა მოქმედების შეტყევაზე, მიზეზებზე, თავისი შეფასება მისცა სესიაზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, საზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო პროვოკაცია როგორც მთლიანად მუშაკთა მხრივ, ისე მომიტინგეთა მხრივ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ერთი ცენტრიდან და რომელიც თავის მიზნად ისახავდა პრეზიდენტის, რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაციას.

განიხილა რა მიტინგის გარეკვის დროს ძალის გამოყენება, უზენაესმა საბჭომ, ისევე როგორც ყველა გამომსვლელმა, თბილისში რუსთაველის მოედანზე მომხდარი ინციდენტი მიიჩნია დანაშაულად ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას კომპეტენტური საპარლამენტო კომისია ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოიძიოს მომხდარი ინციდენტი და შესაბამისი შეფასება მისცეს მას.

სამინვორში.

მოსავალი ისაა, რაც დაბინავებულია

შემოდგომა ძალაში შედის. იწყება მოსავლის აღება. დღეს მთავარია ყოველი დღე, საათი, წუთი გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რათა მომზადებული შევხედოთ ზამთარს, დროულად და უდანაკარგოდ დავაბინაოთ მოსავალი.

ამ მიზანს ემსახურება რაიონის პრეფექტურასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონული შტაბი. გაიმართა შტაბის მორიგი სხდომა, რომელსაც წარმართავდა რაიონული შტაბის ხელმძღვანელი, რაიონის პრეფექტი ტარიელ ალავეძე.

შტაბის სხდომაზე მოსმენილი იქნა სამხრეთის ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორის ჯ. ჩაკვეტაძის და დამზადების გაერთიანების დირექტორის ნ. სალინაძის ინფორმაციები მიმდინარე წლის მოსავლის, ყურძნისა და ხილის მიღება-გადამუშავებისათვის ღვინის ქარხნებისა და დამზადების პუნქტების მზადებისა და მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წელს გარკვეული ამოცანის წინაშე დგანან რაიონის სოფლის მშრომლები. სახელმწიფო დაკვეთითა და ღვინის ქარხნების მიერ 2000 ტონა ყურძნისა და 6000 ტონა ხილის მიუღვას. ღვინის ქარხნები დროულად შეუდგნენ სეზონისათვის მზადებას, რემონტებზე დღემდე დაიხარჯა 50 ათას მანეთზე მეტი. ამჟამად ღვინის ქარხნებში ყველა მანქანა-დანადგარი გამართულ მდგომარეობაშია, საკმაოდ რაოდენობითაა მომარაგებული ტარა-მახალა, სწარმოებს მათი დამუშავება.

დღეს რესპუბლიკაში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. უჭირთ მოსახლეობას როგორც ქალაქად ისე სოფლად. მთავარია თანადგომა, გაგება, მთელი ძალების მობილიზება, რათა ადგილობრივი ძალებით და საშუალებებით გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა.

12 სექტემბერს სოფელ ქალისთავში მოეწყო რაიონის პრეფექტის ტარიელ ალავეძის და აქტივის შეხვედრა მშრომლებთან.

ტ. ალავეძე ესაუბრა მშრომელებს რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობაზე, რაიონის წინაშე მდგარ ამოცანებზე, ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავარია სიმშვიდე, გონიერი მოქმედება, რესპუბლიკის ახლადარჩეული ხელმძღვანელებისადმი თანადგომა.

შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები წამოაყენეს სოფლის მეურნეობის მამულა და დამა, შოთა კოპალაძე, გრიშა ლეთოდინაშვილი და სხვებმა, რომლებმაც დააყენეს რამდენიმე მტკიცებელი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაში მოითხოვეს ქვედა ცაგერის საკ-

ვება. მიმდინარეობს მაქსიმალური საგან დაზიანების შეფასება ღვინის ქარხნის შენობის მშენებლობითი სამუშაოები. შეფერხებებიცაა ცაგერის ღვინის ქარხანაში წყლის მიწოდებაში.

ხაზი გაესვა იმას, რომ რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შესასყიდი ფასი მოემატა მხოლოდ ცოლიკაურის ჯიშის ყურძენს, რომლის ერთი კილოგრამის ღირებულება 21 პროცენტი შეჭრისათვის შეადგენს 1 მანეთს და 80 კაპიკს.

12 სექტემბრისათვის რაიონში დამზადებული იყო 742 ტონა ხილი, მაშინ, როცა გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის დამზადებული იყო 2200 ტონა. დამზადებული ხილიდან კურკოვანა 518 ტონა. ამიტომ დიდი ამოცანების წინაშე დგანან დამზადების გაერთიანებისა და სასურსათო კომბინატის მუშაკები, მეტი თანადგომა სჭირდებათ სოფლის მშრომლებთან, რათა წარმატებით გავანაღლოთ სახელმწიფო დაკვეთა ხილზე.

სხდომაზე შეინიშნა საქმეთა რაიონულ განყოფილებას, დაევალოს მეტი კონტროლი დაწესის ხილისა და ყურძნის დამზადების საკითხებზე.

სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ სოფლის მეურნეობებმა კომმუნარეობების ხელმძღვანელებთან ერთად მოახდინონ სოფლად იმ ბაღებისა და ხეხილის ერთობლივი ნარგავთა აღწერა, რომლებიც იჭრით არ არის გაპროცენებული. გულხეზე, იმ მიზნით, რომ იქიდან დამზადებული ხილის გარკვეული ნაწილის ღირებულება ჩაირიცხოს საქრეულობის ანგარიშზე სოფლად სოციალური საკითხების მოგვარებისათვის.

რეზუალს, რაიონის პრეფექტურის, შესაბამისი წარმომადგენლებისა და სხვების დახმარებით, აღინიშნა, რომ სამ წელზე მეტია ქიანურდება ქალისთავის სასოფლო კლუბის მშენებლობა, რაზეც თანხები გამოყო კულტურის სამინისტრომ. რაც აშენებულია, ისიც ინგრევა, ხის მასალა ღებება, სოფელს არ აქვს სასმელი წყალი, მოითხოვენ ქულბაქიდან მომავალი ახალი წყალადენიდან მიეცეს სოფელს წყალი, დაწყებითი სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, სოფელში არ არის ტელეფონი, შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდების საქმეში, სოფლის პირდაპირ მიდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე აუცილებელია ნაპირსამაგრი მოწყობა, რადგან წყალდიდობისას ცხენისწყალს მიაქვს სავარგულები და საფრთხე შეექმნა მოსახლეობას, არ ყოფნით გამომცხვარი პური და სხვა.

რამდენიმე საკითხის მოგვარება იქვე დაევადა ჯგუფის წევრებს, განისაზღვრა კონკრეტული ვადები. იყო საკითხები, რომელთა შესრულება დროს, ეკონომიკური საშუალებების მოთხოვნა.

ქართული-91

საქართველოში საყოველთაო

სამოქალაქო მშვიდობისათვის

ვგვამდგომთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ღვთის, ერისა და შთამომავალთა მსჯავრის წინაშე, ვითვალისწინებთ რა ისტორიული მომენტის არსსა და მნიშვნელობას, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების სიმძაფრეს და მოვლენათა შესაძლო არასასურველი განვითარების პრესპექტივას, ვესწრაფვით რა საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ:

1. ჩვენი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა—დაფუძნება სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოსი, რომელიც უნდა იქცეს საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად და თავისუფალი სამყაროს განუყოფელ ნაწილად;

2. ამგვარი სახელმწიფოს მშენებელი და მისი დამცველი შეიძლება გახდეს მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე—პიროვნება, ვინც საბოლოოდ დააღწია თავი ტოტალიტარული რეჟიმის ტყვეობას, დაძლია რა წლების მანძილზე ხალხის ცნობიერებაში დანერგილი უსასოობა და შიში;

3. მიუხედავად ამჟამინდელი რთული პოლიტიკური ვითარებისა, დაუშვებელია ადამიანის ძირითად უფლებათა შეზღუდვის გზით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყაზარმული დისციპლინის დამკვიდრება. ჩვენში გავრცელებული ლოზუნგი—„ქვერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“—მავნეა და მასში გამოვლენილი იდეოლოგიური მრწამსი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აფერხებს;

4. აუცილებლად მიგვაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის, ჰელსინკის, მადრიდის, ვენისა და პარიზის შემაჯამებელ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ძირითადი იდეების სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა და ცხოვრებაში გატარება, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო პოლიტიკის გაბატონებული მიმართულებებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაახლოებას;

5. საქირაო საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური ლიბერალიზაცია, უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სფეროებში სრული სრული გამიჯვნა, შეწყდეს თავისუფალი აზრისა და სიტყვის ჩახშობა, დაინერგოს პოლიტიკური ბრძოლის ცივილიზებული, კონსტიტუციური მეთოდები, გზა გაეხსნას საბაზრო ეკონომიკასა და კერძო მეწარმის ინიციატივას, გადაწყდეს აგრარული საკითხი, აილაგოს კორუპირებული მათემატიკა, რომელიც არსებული სისტემის ძირეულ ცვლილებას ეწინააღმდეგება. თავისუფალი ქვეყნის მშენებელი თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეს სახელმწიფოს წინსვლის მთავარ მამოძრავებელ ძალად;

6. კატეგორიულად უნდა დაიგმოს ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება. იარაღი უნდა აღიშართოს მხოლოდ აგრესორის წინააღმდეგ, ერის ღირსებისა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ხოლო ჩვენი შინაური პოლიტიკური უთანხმოებანი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი დიალოგის გზით, გარეშე ძალის ჩაურევლად.

ვიმედოვნებთ, რომ ჩამოთვლილი ძირითადი პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დამყარება. მოვუწოდებთ მათ, ვისთვისაც მისაღებია წინამდებარე დოკუმენტის სულისკვეთება, შემოუერთდნენ ხელისმომწერთა რიცხვს.

ილია II, თეოდოპაპაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, თენგიზ ღიზაშვილი, მალხაზ კვანჭილაშვილი, მერაბ შრიფაძე, გელა კობახიძე, ირაკლი გელაშვილი, ელდარ ზენგელაძე, გიგა გულაძე, ლანა ლომოვარიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თენგიზ აბულაძე, კოტე იმედაშვილი, აპაკი გაბრძაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ დოჩინაშვილი, ირაკლი წარბაქაძე.

შეგახსენებთ აქვს რა არსებული სიტუაციის მძიმეობა და მისი ნორმალურობის სასიცოცხლო მნიშვნელობა. ბაირისთვის, „მრავალი მაგიდა—თავისუფალი სამართალი“ ლეჩხუმის რაიონალური ორგანიზაცია უარსდგამს პარტია—91-ის ხელისმომწერლებს. საყოველთაო მოძრაობა, საერთაშორისო მშვიდობისათვის—წინააღმდეგ შემთხვევაში საპარტიალო ელის ახალი გახლავთი. მხოლოდ ურთიერთ-მიმდევრულად კოორდინირებული და კოალიციური ძალაა შერჩევა გვიხსნის. მოსახლეობას მოვუწოდებთ მხარი დაუჭიროს პარტია—91-ს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაში ვატერანთა ორგანიზაციაში

ცაგერის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაცია აერთიანებს 3000-მდე წევრს, მათ შორის ომის ვეტერან 476, ომის ინვალიდი—220. ისინი გაერთიანებული არიან 47 პირველად ორგანიზაციაში, რომლებიც შექმნილია საწარმო-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

წესდების შესაბამისად და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის სექტემბერში ტარდება ანგარიშგება-არჩევნები პირველად ორგანიზაციაში, ოქტომბერში კი გაიმართება ვეტერანთა მეორე რაიონული კონფერენცია.

ანგარიშგება-არჩევნები უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ვეტერანთა ორგანიზაციების ცხოვრებაში. იგი პირველად ტარდება რაიონში და იმართება თავისუფალი საქართველოს მშენებლობის პირობებში. ამ ეტაპზე განსაკუთრებული როლი ენიჭება ვეტერანთა პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობის ამაღლებას, მათ ჩაბმას განახლებული საქართველოს შენებაში.

ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციის საფუძველია პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება შრომით კოლექტივებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში.

წესდებით ვეტერანთა პირველად ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ დიდი უფლებები. ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ ვეტერანთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იზრუნონ ვეტერანთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, იმ შედეგების განხორციელება შესრულებებისათვის, რომლებიც დაწესებულია ომის ინვალიდთა და ომის მონაწილეებისათვის, განუზრუნავდნენ ვეტერანთა ინტერესები, ხელი შეუწყონ პენსიონერთა შრომით დასაქმებას, პრაქტიკულად გაუმართონ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშობლოს დაცვის დროს და მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში. ეს და მრავალი სხვა საწესდებო კეთილშობილური მოთხოვნები წაყენებული ვეტერანთა პირველადი ორგანიზაციების წინაშე.

სექტემბრის ბოლომდე ყველა ორგანიზაციაში უნდა გაიმართოს ანგარიშგება-არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდება დღის წესრიგით:

1. ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. არჩევნები:
- ა. ვეტერანთა საბჭოს შემადგენლობისა;

ბ. ვეტერანთა მეორე რაიონული კონფერენციის დელეგატებისა.

წელს ვეტერანთა ძირეულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები პირველად ტარდება, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი განმარტება.

ვეტერანთა ორგანიზაციის წევრად ითვლება ყველა მამაკაცი და ქალი, რომლებმაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს, კერძოდ, ქალი 55 წლის და ზევით, მამაკაცი 60 წლის ზევით, არჩევნები ტარდება ღია კენჭისყრით.

იმ ორგანიზაციებში, სადაც 15 წევრზე ნაკლებია, ირჩევა ვეტერანთა საბჭო სამი კაცის რაოდენობით თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის შემადგენლობით. 15 წევრზე მეტ ორგანიზაციაში საბჭო ირჩევა 7-9 კაცის რაოდენობით თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და 4-6 წევრის შემადგენლობით.

რაიონული კონფერენციის დელეგატებად თითოეული ორგანიზაციიდან ირჩევა 3-5 კაცი, რომელთა სია დემოგრაფიული მონაცემებით კრების მეორე დღეს გამოგზავნება ვეტერანთა რაიონულ საბჭოში.

საანგარიშო-საარჩევნო კრება გულდასმით უნდა მომზადდეს. საჭიროა ვეტერანებმა წინასწარ იცოდნენ კრების დღის წესრიგი, დრო და ადგილი.

საანგარიშო მოხსენებაში უნდა გაშუქდეს ისეთი საკითხები, როგორც: ვეტერანთა ორგანიზაციის შემადგენლობა, ვეტერანთა აღრიცხვის საქმე, საბჭოს სამუშაო გეგმები და მათი შესრულების მდგომარეობა, ვეტერანთა მონაწილეობა შრომაში, ომის ინვალიდთა, მონაწილეთა და ომში დაღუპულთა ოჯახების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, ვის რა დახმარება ესაჭიროება.

როგორ სრულდება ის შედეგები, რომლებიც დაწესებულია ომის ვეტერანებისათვის, ყოველდღიურ მოვლენებში, რომ ზოგან თვითნებურად გააუქმეს დაწესებული შედეგები, ინვალიდებს ურიგოდ არ ემსახურებიან, აგდებულად ეპყრობიან. მკაცრი პასუხი უნდა ევალებინოთ ყველა იმთ, ვინც უგულვებელყოფს კანონებს.

ნების, ვეტერანთა წამახალისებელი მოთხოვნები, მოხსენებებში მუდგავსად ტარდება. იქნას საბჭოს ფაქტები.

როგორ უფროან ობელისკებს, ომში დაღუპულთა სტენდებს, რა მონაწილეობას იღებენ პატრიოტული სულიკვეთებით მომავალი თაობის აღზრდის საქმეში და სხვა. ამ და სხვა საკითხებმა ასახვა უნდა პიროვნის მოხსენებაში.

თითოეულ ვეტერანზე დაწესებულია საწევრო გადასახადი წლიურად ერთი მანეთის რაოდენობით. ვეტერანთა საბჭოები მოწოდებული არიან აკრიბონ საწევრო ანარიცხები და ჩარიცხონ იგი ცაგერის სახბაქში ანგ. № 70011-ზე.

როგორც აღვნიშნეთ, რაიონში სულ 3000-ზე მეტი ვეტერანია, ეს დიდი ძალაა. ვეტერანები ის ხალხია, რომლებმაც განვლეს ომისა და შრომის დიდი და სახელოვანი გზა. ზოგიერთი ჩამორჩენილი ადამიანი ამ გზას არ აუასებს. წარსულის ხელაღებით უარყოფა, უფროსი თაობის დევნის დაუფასებლობა და უპატივცემულობა საზოგადოებას კი არა, დიდ წიანს მოუტანს ჩვენს საერთო საქმეს. შრომით, ბრძოლით, წელთა სიმრავლით წელგატეხილ ადამიანებს თბილი სიტყვა და წესიერი მოპყრობა სჭირდებათ.

ვეტერანთა ორგანიზაციების მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საკრებულოებისა და მათი გამგებების ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე. გამგებებს ვთხოვთ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ვეტერანთა ორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების ორგანიზებაში, ჩატარებაში, საანგარიშო ვეტერანები გვერდში უნდა ამოუდგნენ და ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ საკრებულოებს ყოველი კეთილი წამოწყების რეალიზაციაში.

რაიონის პრეფექტს ბატონ ტ. ალაიძეს და პრეფექტურის მუშაკებს გულთან მიაქვთ ომისა და შრომის ვეტერანთა სატკივარი, ისინი აქტიურ დახმარებას გვიწვევენ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში, ამ დღეებში მოეწყო ვეტერანთა შეხვედრა პრეფექტთან, რომელმაც საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

რაიონის პრეფექტურა, გამგებები, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, სკოლების ხელმძღვანელები იმედს გვაძლევს რომ საქმიან დახმარებას გავიწვევენ არჩევნების ორგანიზებაში ჩატარებაში. ეს კი წარმატების საწინდარია.

ლ. ჩიქოვანი.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

მრევლს

ნაპურალეშის ეკლესიის ღირსებაზე. აღარ ვლაპარაკობთ, ეს ლეჩხუმშია კი არა საქართველოშია. იცის, მაგრამ ეკლესიას რესტავრაცია, ყურადღება, დაცვა უნდა. ეს აწუხებს აქაურ მშრომელებს და ცდილობენ რაც თავად მათზეა დამოკიდებული არ მოაკლონ ამ წმინდა ისტორიულ ადგილს.

აღრე ეკლესიის წინ სამრეკლო ყოფილა, სამრეკლოს

ზარის ძალუმი ხმა ახლაც ახსოვთ აქაურებს. მერე ეს ზარებიც დაიკარგა, წაიღო

ოცნება

ულმობეღმა და განუკითხავმა დრომ და სამრეკლოც მოიშალა.

ახლა, როცა რწმენა დაუბრუნდა ხალხს, დაიწყეს ეკლესიებზე ზრუნვა, ნაკურალეშელმა სამსონ გოლეთიანმა სამი სხვადასხვა ზომის ზარი მოიტანა სოფელ-

ში. სხვებიც ამოუდგნენ ქველმოქმედ კაცს გვერდით. ახალი სამრეკლო დადგეს. ზარები დაიკდეს, ყველაფერი მოაწესრიგეს და მთელ სოფ-

აუხდა

ელს მოუხმეს. მარიამობის ზარის ხმაზე შეიკრიბა სოფელი იდუგასწულა მრევლმა, ლოცვა და კურთხევა აღავლინა, მარჯვენა და გული დაულოცა. ამ საქმის მოთავეთ.

ყველა ქრისტიანულ დღესასწაულზე შეიკრიბებიან აქ მორწმუნენი.

გაქსიშვილი ღარიშვილი ღარიშვილი

გვამიგზებიან გზის გზაგზები

ცაგერის რაიონი მთიანი რაიონია და მისი სოფლებიც ამ მთიან რეგიონშია განლაგებული. რაიონის მოსახლეობისათვის ყოველთვის მტკივნეულად იდგა გზის საკითხი, ზოგიერთ სოფელში ამ მხრივ მოსათმენი მდგომარეობაა, იქ, სადაც მოძრაობის ხანგრძლივ ავტობუსები და მოძრაობის ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება, მაგრამ ახერ არ არის ყველა სოფელში. სხვა საკითხებზე საკითხებს ზოგის, ბევრგან გზის პრობლემა კიდევ დგას დღის წესრიგში.

ცაგერის საგზაო სამმართველო ემსახურება რაიონული მნიშვნელობის 208 და რესპუბლიკური მნიშვნელობის 63 კილომეტრ გზას. გზების ნორმალური მოვლა პატრონობსა და მშენებლობის საქმეში უამრავი პრობლემები და სიძნელეებია, მაგრამ ყოველწევამ ჩვენი კოლექტივი გააქვეყნა წილად ართმევს თავს. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობებისა საგზაო სამმართველომ გარკვეული მუშაობა გასწია გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბოლო პერიოდში ავადგომი მცირე მალიანი ხიდეები სოფელ ადვში, ორი, ჩაიდერში ერთი, ისუნდე-რში ერთი, დოღურაში ერთი, ლეიჩიშის რეგიონში სამი, ჩხუ-

ტელში ორი, ზუბში კი 5 ხიდი, აგრეთვე აიგო მდინარე რიონზე სოფელ ორხვთან დამაკავშირებელი ხიდი. საგზაო სამმართველო თავის მუშაობაში მიზნად ისახავს, რომ რაიონის ყველა სოფელში აშენდეს კეთილმოწყობილი და სტანდარტს დაკვეთდებარებული გზები. ახლა მიმდინარეობს და მოთიანად დამთავრდება: ლაშგერია-ოლიტარის, კვერეშულა-ზუბის, ზუბის მარნები-ზუბის, ოყურეშის ხიდი-ოყურეშის, ჯონოლის ხიდი-ჩქუმი-ქულბაქის, ადვის ხიდი-მუშკუდიანე-ბის უბანი, სანორჩისა და ნასპერის გზის მშენებლობა. მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება მრავალ სასოფლო და საუნო გზას. კეთილმოწყობით და კვლავაც მიმდინარეობს კეთილმოწყობა საქმიანი ეზოსა და აღმინისტრაციული შენობის. ავტობუსების გაჩერებებთან დავდგით ლამაზი ლითონის კონსტრუქციის მოსაცდელეები, რომელიც სამმართველოს ძალე-ბით გაკეთდა და ძალიან იაფი

დაჯდა. იჯარით ავიღეთ ერთი პეტარი მიწის სავარგული და შევიძინეთ სამი მეწველი ძროხა, თანამშრომლებს უსასყიდლოდ ვაძლევთ ყველს, მომავალში დაგეგმილი გვაქვს შევიძინოთ კიდევ ერთი ძროხა და იჯარით ავიღოთ 10 პეტარი სავარგული, რის შედეგადაც შესაძლებლობა გვქნება შეფხობის სახით რძე მივაწოდოთ ცაგერის №1 საბავშვო ბაღს. საგზაო სამმართველოს შრომით კოლექტივში თავიანთი კეთილსინდისიერი შრომით გამოირჩევიან სამუშაოთა მწარმოებლები: ჯ. გაბისონია, რ. დავითიანი, მ. სილაგაძე, უ. სვანიძე, ჯ. მეგრელი, დ. გვიშაინი და სხვები. გვყავს ენერგიული შრომისმოყვარე და საქმის კარგად მცოდნე მექანიკატორები შ. მამარლაშვილი, ტ. ხაბულიანი, ა. გვიშაინი, გ. მეშველიანი, მძღოლები ა. ახვლედიანი, ი. ხაღინაძე, ო. მურცხვალაძე და სხვები. მიუხედავად ჩატარებული მუ-

შაობისა ჩვენი სამსახური ვალდებული ვართ მთელი რიგი სოფლების მოსახლეობასთან. კერძოდ, საგანგაშო მდგომარეობაა სოფლების ლახევის, ნაკურადგის, ზედა ლუხვანოს, კენაშის, სურამუშის, წილამიერის სამანქანო გზებზე. აღნიშნული გზების მშენებლობის პროექტები უკვე გაკეთებულია და სულ მალე მუშაობას დაიწყებს ცაგერის №23 საგზაო სამმართველო და ქუთაისის №12 საგზაო სამმართველო. ამ ორგანიზაციების მოწვევასა და აღნიშნული სოფლების გზების მშენებლობის გეგმაში ჩასმისათვის დიდი შრომა დასჭირდა რაიონის ხელმძღვანელობას, რომელიც რაიონისათვის დიდი სამსახური გასწია. აღნიშნული სოფლების გზების მშენებლობა გაუნაწილდა მოწვეულ ორგანიზაციებს და ბევრი რამ გაკეთდება მათი კეთილმოწყობისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ცაგერის №23 საგზაო სამმართველომ ჯერ კიდევ არ დაიწყო დასამთავრებელ ობიექტებზე მუშაობა,

კოვოლაურის 19-22 კილომეტრ ღვედის 29-30 კილომეტრ, სარეკელა-ზუბის 44-45 კილომეტრ გზებზე, რაც ძალზე ცუდ მთაბმდებლად ქმნის წინააღმდეგობას ცაგერის რესპუბლიკურ გზაზე გამგეობისათვის. რესპუბლიკის მთავრობის წინაშე რაიონის ხელმძღვანელებს დაუენებელი აქვთ მოთხოვნა, გეგმაში ჩახვან გელაგრის 25-26 კმ-ის, ოყურეშის 44-50 კმ-ის და ალაშან-ცაგერის გზის 3-10 კმ-ის მშენებლობა-კეთილმოწყობა. აუცილებელია გამოიყოს თანა ცაგერის-წალტუბოს გზის 50-54 კილომეტრში ქვის ვაბიონის გასაკეთებლად. საგზაო სამმართველო განიცდის ტექნიკის უკმარისობას, აუცილებლად გვესაჭიროება ორი ცალი „იო“-22 მარკის ექსკავატორი და „კამაზის“ მარკის 2 ავტომობილი. სამმართველო მაქსიმალურად გამოიყენებს წლის დამთავრებამდე დარჩენილ დროს და შევასრულებს გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის წლიურ გეგმას.

ბ. კიშირიძე,
ცაგერის საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

პროფესიონალი

ამბს წინათ რაიონული საავადმყოფოს ეზოსა და შესასვლელში ხალხმრავლობა და ჩოჩქოლი იყო, მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს მერაბ ქარსელაძე. ყველასან ერთიდაიგივე კითხვები ისმოდა—მძიმედ არის დაჭრილი? სტავი ქირურგი თუ არის? ეს სოფელში ხომ არ წასულა? და ა. შ.

თათრად ნათენები ღამეები

მატიკერის „შოგული“ კილომეტრებს ეკვავს. იქნება კი სახლში შევხვდებით, დასასვენებლად ჩამოსული ქირურგი როზალიუს ჩხეიძე? ნახევარი საათიც კი არ გასულა, რომ მომლოდინე ხალხმა შევხვდით ამოისუნთქა—მოვიდა, მოვიდაო. ბატონ როზალიუს ჩხეიძეს მორიგე ექიმმა გია სანიკიძემ ავადმყოფი ოპერაციისთვის მომზადებული დაახვედრა, დაიწყო სექვილ-სიცოცხლის ქიდილი ახალგაზრდის საამქვეყნო მობრუნებისთვის. თავთან თავისი „მოწყობილობით“ ანესტეზიოლოგი გია სანიკიძე უწის. აქ ყველაფერი გათვლილია, თითოეული წუთი შეიძლება ადამიანის სიცოცხლედ დაჯდეს. და ასეთი ბრძოლა ადამიანის გადარჩენისათვის, ამ „დასვენების“ პერიოდში ბატონ როზალიუსს რამდენი შეხვდა, თითქმის ყოველ კვირაში, მაგრამ მას ღრმად

სჯერა, ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე ისე, რომ მამულის კეთილდღეობას რაიმე შეშატოს, იცხოვროს ქვეყნის ინტერესებით. ყოველგვარი რაიმეს მიუხედავად, მას ასე სწამს მშობლიური კუთხის სიყვარულიც, ლერწმულთა ერთგულებაც.

როზალიუს ჩხეიძემ ცაგერის საშუალო სკოლა დამთავრა 1950 წელს მედალზე. იმ წელსვე განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და ისიც წარჩინებით

დამთავრა. მას შემდეგ სად არ უმუშავია თბილისისა თუ რაიონში წამყვან ქირურგად, ახალქალაქის რაიონის მთავარ ექიმად. მიღებული ცოდნის და პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე წარმატებით დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დღეს თბილისში მოღვაწეობს, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებს მშობლიურ რაიონს. ყოველწლიურად ცოლშვილთან ერთად შევხვდება მშობლიურ სოფელ ადვში ატარებს და ყოველთვის გვერდში უდგას გულერთგულად ცაგერის რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს.

ასეთი ანესტეზიოლოგი რომ არა, მე ამდენს ვერ შევძლებდიო, უთქვამს კოლეგებთან საუბარში ბატონ როზალიუსს. გია სანიკიძის ბიოგრაფიის ბევრი ფურცელი ჯერ შეუვსებელია, მაგრამ ეს ახალგაზრდა კაცი რასაც აკეთებს გულის კარ-

ნახით, სულის მოთხოვნებით, დიასაც რომ ქების ღირსია, დიდი პროფესიონალიზმი, მოკრძალება და გულისხმიერება. ყველა ეს ერთად აღებული გულითად პატივისცემას, სიყვარულსა და მოწონებას იწვევს ყველა მათგანში, ვისთანაც უბრალო უხეხა პქონია, მაგრამ ავადმყოფ ვ. ხ. სთან მისმა მოქმედებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, პალატაში, მის საწოლთან თეთრად გათენებული ღამეები რაიონული საავადმყოფოს მედპერსონალს არასდროს დაგვაიწყდებაო, ეს პაციენტი რომ დღეს ქალაქის ქუჩებში დააბრუნებს, გია სანიკიძის დიდი დამსახურებააო, მეუბნებიან მასზე.

წუხელ სასწრაფო ოპერაცია იყო, გაიგებ მეორე დღეს, ერთს ნაღველი ამოუდეს, ერთს კიდური მოჰკვეთეს და ა. შ. მარტო ექიმებს რა შეუძლიათ მათთან ერთად ამ სიმძიმეს რომ არ აწილებდნენ ექთნები დოღო ბენიძე, ნელი ყურაშვილი, გულნაზი ნემსაძე, ციცო მუშკუდიანი და სხვები, ვინ მოთვლის რამდენი თეთრად გათენებული ღამეა მათ ცხოვრებაში.

აი თურმე სად ყოფილა მუხჩაუბრელი შრომა სიყვდილზე გამარჯვებისათვის, და რა დასანანია, რომ ეს არ იცის ყველამ, და მათ შორის ჩვენც, მშობლებმაც.

სწორედ მათ შეუძლიათ ამაყად თქვან—ჩვენი ჩვენი საქმის ჭეშმარიტი პატრიოტები ვართო.

ბ. ბაქრაძე.

პვირუასო გვითხვადო!

მიუხედავად ქალაქის დეფიციტისა, პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეებისა, ვიტრებთ იმედს, რომ მომავალ წელს პერიოდული პრესა შეუფერხებლად გამოვა და შენც, ჩვენი მეგობრო, ვერ დარჩები მის გარეშე, მით უფრო დაძაბულ

საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენების ფონზე ვერაფერი ცვლის გაზეთისა და ჟურნალის, როგორც მასობრივი ინფორმაციის როლსა და დანიშნულებას. ამიტომ შეგახსენებთ: უფრო ნაღვაზეთებზე ზეღმწერა და-

იწყო 1 სექტემბერს და გაგრძელდება 1 ნოემბრამდე. ზეღმწერები მიიღება სოიუსპეჩიატისა და კავშირგაბმულობის განყოფილებებში, გადარიცხვის წესითაც საწარმო-ორგანიზაციებში.

მავ ასე, გამოიწერეთ თქვენთვის სასურველი ჟურნალ-გაზეთები!

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გილოცავთ
მაია გივის ასულ ხმელიძეს
გორჩა რომანის ძე გვილიანს
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
გფარავდეთ ღმერთი.
გიორგი, რიტა ხმელიძეები.

ნანა გივის ასულ ხმელიძეს
ჯაბა შორას ძე გიწაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ჯანსაღი, ფუძემდებელი ქართული ოჯახი. ერისთვის ბევრი ძე-ასული გაგეზარდოთ, სულითა და გულით ძლიერნი.
ლუდვიკ, დადაში, ზაურ ბენიძეები.

ირმა მიქაძეს
გია ირმაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულითა და სიხარულით გაგვევლოთ ხანგრძლივი ცხოვრების გზა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.

ვაპ ვაშას ასულ სილოგავას
ხვიჩა რომანის ძე ჩარკვიანს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძის ძლიერებას, აკეთათა სიმრავლეს.
ჯაზა ხეცურიანი, მამუა ქელიძე.

ნანა ვახტანგის ასულ კალანდარიძეს
მეზარ აბასალომის ძე ფუტყარაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული და სიმშვიდე იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გემრავლებინოთ ქართველი ერი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
ცისანა, ნინო, მზია, ლევანი, ლია, გულნარა ფუტყარაძეები.

ვაპ ვაშას ასულ სილოგავას
ხვიჩა რომანის ძე ჩარკვიანს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძემდებელი ოჯახის შექმნას.
კარლო, სოსო ბენდელიანები.

